ეთიკის კომისიის

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ია გაბედავა – კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ ჩოფიკაშვილი – კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი – კოლეგიის წევრი

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 23.03.2018

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 006/18

შეკითხვა:

მრავალბრალდებულიანი სისხლის სამართლის საქმეში ერთ-ერთ ბრალდებულს სასამართლოს მიმართვის საფუძველზე დაენიშნა ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე, იმ მიზეზით, რომ აღნიშნულ ბრალდებულთან მიმდინარეობდა მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების გაფორმების თაობაზე და სავალდებულო იყო მას ჰყოლოდა ადვოკატი.

საქმის არსებითი განხილვის დროს აღნიშნული ბრალდებულის ადვოკატმა სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა თვითაცილების დაკმაყოფილების თაობაზე შემდეგი მიზეზით:

ვინაიდან მისი დანიშვნიდან, აღნიშნულ საქმეზე, ნახევარ წელიწადზე მეტია სასამართლო სხდომები იმართება და ამ ხნის განმავლობაში ვერ იქნა მიღწეული საპროცესო შეთანხმება მხარეთა შორის და აღნიშნული მოლაპარაკება რეალურად მხარეთა შორის არც მიმდინარეობდა, ადვოკატი კი მხოლოდ ამ საფუძვლით დაინიშნა სახელმწიფოს ხარჯზე, ეს საფუძველი უკვე

აღმოფხვრილია და რადგან დაცვის სხვა სავალდებულო შემთხვევები აღნიშნული ბრალდებულის მიმართ არ არსებობს, ამიტომ ბრალდებულის ადვოკატი მოითხოვდა თვითაცილების შუამდგომლობის დაკმაყოფილებას მოსამართლის მიერ.

აღნიშნულ შუამდგომლობას არ დაეთანხმა მხარე - პროკურორი, რომელმაც მიუთითა, რომ ეს მოლაპარაკება გრძელდებოდა. თუმცა, პროკურორის პოზიციას ამ შემთხვევაში არავითარი პრაქტიკული და არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, ვინაიდან ის ვერც ასაბუთებდა რეალურად მის პოზიციას და, ასევე, სრულიად შესაძლებელია, ის ფიქრობდა, თუკი შემდგომში ბრალდებული ადვოკატს შეთანხმებით აიყვანდა, შემდეგ ეს ადვოკატი საქმის გასაცნობად დროს მოითხოვდა. არ აქვს ამას მნიშვნელობა!

საქმე ისაა, რომ შუამდგომლობის დამყენებლი ადვოკატის დაცვის ქვეშ მყოფი ნათლად და სრულიად დაეთანხმა თავის დამცველის შუამდგომლობას და აღნიშნა, რომ არანაირი მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების თაობაზე რეალურად არ მიმდინარეობდა, რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ აქტიურად ტარდებოდა სასამართლო განხილვები.

ამის შემდგომ, მოსამართლემ მოითხოვა სხვა ბრალდებულების ადვოკატთა პოზიციების და მოსაზრებების დაფიქსირება, რომელთაც მხარი არ დაუჭირეს კოლეგა ადვოკატის შუამდგომლობას თვითაცილების დაკმაყოფილების თაობაზე (ასევე, მათ არც ნეიტრალური პოზიცია არ აირჩიეს, ან მაგალითად, მოსაზრების გამოთქმისაგან თავი შეეკავათ, რადგან ვალდებულნი არ იყვნენ აღნიშნულ საკითხზე საერთოდ პოზიცია დაეფიქსირებინათ.) და თითოეული მათგანი საკმაოდ გრძელი და დოქტრინალური სიტყვით გამოვიდა დამსწრე ფართო საზოგადოების წინაშე და აღნიშნეს, რომ აღნიშნულ ბრალდებულთან, რომელსაც შუამდგომლობის დამყენებელი ადვოკატი იცავდა, ნამდვილად მიმდინარეობდა მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების გაფორმების თაობაზე და ადვოკატ კოლეგის შუამდგომლობა „არავითარ შემთხვევაში“ არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

დაირღვა თუ არა აღნიშნული ადვოკატების მხრიდან, რომელთაც მხარი ასეთი ფორმით არ დაუჭირეს კოლეგა ადვოკატის შუამდგომლობას თავის დასაცავთან მიმართებაში, საქართველოს ადვოკატთა ეთიკის კოდექსი, კოდექსის რომელი ნორმები დაირღვა და რატომ? თუ არ დაირღვა, რატომ?

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლის მიხედვით: „ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის პირველი ნაწილი: „ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი: „პროფესიის კორპორატიული არსი მოითხოვს ადვოკატთა შორის ნდობასა და თანამშრომლობაზე დამყარებულ ურთიერთობას მათი კლიენტების სასარგებლოდ სასამართლო პროცესების და სხვა კლიენტისთვის საზიანო ქმედებების თავიდან აცილების მიზნით. თუმცა დაუშვებელია კლიენტის ინტერესებზე წინ პროფესიის ინტერესების დაყენება.“

კოლეგიალობის პრინციპი გულისხმობს კოლეგების მიმართ პატივისცემას, პროფესიული ღირსების დაცვასა და პროფესიული სტანდარტების შესაბამისად მოქმედებას.

ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს, შესაბამისად, ადვოკატის იძულება, განახორციელოს გარკვეული ქმედება, გარდა კანონით და პროფესიული ეთიკით გათვალისწინებული შემთხვევებისა, დაუშვებელია.

მოცემულ შემთხვევაში, შეკითხვაში მითითებული გარემოებებიდან გამომდინარე, დისციპლინური კოლეგიისათვის მნიშვნელოვანია, რომ „მოსამართლემ მოითხოვა სხვა ბრალდებულების ადვოკატთა პოზიციების და მოსაზრებების დაფიქსირება“. შესაბამისად, ადვოკატების მიერ განზრახ ქმედების განხორციელებას ადგილი არ ჰქონია. მათ შეასრულეს მოსამართლის მითითება.

ეთიკის კომისიამ 2007 წლის 29 მაისის გადაწყვეტილებით /დისციპლინურ საქმეზე № 2743/05/07 დაადგინა: „ადვოკატმა თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას უნდა დაიცვას კოლეგიალობის პრინციპი და გამოხატოს პატივისცემა კოლეგისადმი, მიუხედავად მისი სამართლებრივად ან სხვაგვარად საწინააღმდეგო მხარის არსებობისა/მდგომარეობისა“.

რაც შეეხება კოლეგების მიერ ადვოკატის შუამდგომლობასთან დაკავშირებული მოსაზრების გამოთქმას, ამ შემთხვევაში, შეკითხვიდან გამომდინარე, არ ფიქსირდება კოლეგის პატივისცემის პრინციპის დარღვევა ან სიტყვიერი შეურაცხყოფა - მათ დააფიქსირეს საკუთარი სამართლებრივი მოსაზრება, რომელიც, შესაძლოა გამომდინარეობდა მათი კლიენტების ინტერესებიდან. აღნიშნულის - ადვოკატების მიერ სწორედ ასეთი პოზიციის დაფიქსირების მოტივი - შეკითხვაში არ ჩანს.

შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატების მხრიდან არ იკვეთება კოლეგისადმი პატივისცემის პრინციპის დარღვევის შემთხვევა.

დასკვნა:

შეკითხვაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისად, ადვოკატებმა კოლეგის შუამდგომლობასთან დაკავშირებით დააფიქსირეს საკუთარი სამართლებრივი პოზიცია მოსამართლის მოთხოვნის შესაბამისად. რაც შეეხება პოზიციის დაფიქსირების მოტივაციას,

აღნიშნული შეკითხვაში არ ჩანს, ხოლო კოლეგის შეურაცხყოფა არ ფიქსირდება. შესაბამისად, ადვოკატების მხრიდან არ ირღვევა კოლეგიალობის პრინციპი.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ რომელიმე დისციპლინური საქმის განხილვისას. თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.